საჯარო ინფორმაციის

გაცემის ვალდებულებების დაცვა

საჯარო დაწესებულებებში

წინამდებარე კვლევა შემუშავდა "**საქართველოს ახალგაზრდა იურისტა ასოციაციის" (GYLA)** მიერ, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID**-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)" **დაფინანსებულ პროექტ „საჯარო დაწესებულებების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულების პრაქტიკის გაუმჯობესების"** ფარგლებში, რომელიც ერთობლივად განახორციელეს "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (IDFI) და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" (GYLA).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) პასუხისმგებელია კვლევის შინაარსზე. კვლევაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ინსტიტუტს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

Contents

შესავალი 3

მიზნები და მიზეზები 3

მეთოდოლოგია 4

დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობის დროს 5

კვლევის ძირითადი მიგნებები და სტატისტიკური შედეგები 6

- საქართველოს პარლამენტი 15
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 19
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 24
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 29
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 34
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 40
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 44
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო 49
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 54
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 58
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 62
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო 65
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო 70
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 75
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 80
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო 84
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია 90
- საქართველოს უზენაესი სასამართლო 95

დასკვნა და რეკომენდაციები 96

შესავალი

თითქმის თხუთმეტი წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მიიღო და ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა. კოდექსმა, რომლის მესამე თავი სწორედ ინფორმაციის თავისუფლებას ეხება მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დემოკრატიული პროცესების სათანადოდ წარმართვაში.

დღეს უკვე აქტიურად საუბრობენ ახალი კანონის მიღებაზე, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს ცალკე, სპეციალურად ამ მიზნებისთვის მიღებული კანონით დაარეგულირებს და მეტწილად შეძლებს იმ გამოწვევების დაძლევას, რომლის წინაშეც ინფორმაციის თავისუფლება, როგორც ღირებულება დგას დღესდღეისობით.

ძველი და ახალი გამოწვევების მიუხედავად, ცხადია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ზოგადად ინფორმაციის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფოს შექმნისა და მისი შემდგომი განვითარების პროცესში.

მიზნები და მიზეზები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა საჯარო ინფორმაციის გაცემის ხარისხი საქართველოში. მნიშვნელოვანი სიახლე იყო საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით გადაგმული ნაბიჯები, რომელიც ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს და სამომავლოდ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქვეყანაში.

შესაბამისად, წარმოდგენილ კვლევაზე მუშაობის დროს ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, გაგვეანალიზებინა, ერთის მხრივ, რამდენად კარგად და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ახდენენ ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო ინფორმაციის გაცემას. ხოლო მეორეს მხრივ, რამდენად იქონია გავლენა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ ფორმით გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით გამოთხვის დანერგვამ ინფორმაციის თავისუფლების მიმართულებით არსებულ პრაქტიკაზე.

შესაბამისად, კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე ხშირად მოთხოვნად ინფორმაციას წარმოადგენს და რომელთა პროაქტიულმა გამოქვეყნებამ, წესით, ხელშესახებად უნდა გაზარდოს საჯარო ინფორმაციის ონლაინ ხელმისაწვდომობა.

მთლიანობაში, ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად კვლევის ავტორებს 17 ადმინისტრაციული ორგანოდან მიღებული 21000 გვერდზე მეტი ბედჭუდრი და ელექტრონული ფურცლის გაცნობა მოუწიათ.

მეთოდოლოგია

კვლევის მომზადების მიზნით, პირველ ეტაპზე, იმ საჯარო დაწესებულებების იდენტიფიცირება მოხდება ვისგანაც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა უნდა მომხდარიყო. ასეთად საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ყველა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და საქართველოს უზენაესი სასამართლო იქნა შერჩეული. ყველა მათგანს ერთი და იგივე შინააარსის განცხადება დაეგზავნადა და 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით - საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, ელქტრონული და ბეჭდური სახით წარმოდგენილი ყველა განცხადებისა და ამავე განცხადებების პასუხად მათ მიერ გაცემული ყველა საჯარო ინფორმაციის ასლი მიწოდება ეთხოვათ.

მომდევნო ეტაპზე მოხდა მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების დათვლა, როგორც ინდივიდუალურად თითოეული ადამინისტრაციული ორგანოს მიხედვით, ისე მთლიანად ერთად აღებული ყველა უწყების ჩათვლით.

იმის გათვალისიწინებით, რომ ერთ კვლევაში პრაქტიკულად შეუძლებელია ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა და მითუმეტეს თითოეული მათგანის სიღრმისეული ანალიზი, თავიდანვე გადაწყდა, რომ ძირითადი ფოკუსი შემდეგ საკითხებზე ყოფილიყო გაკეთებული:

- ძირითადად რა ტიპის ინფორმაციის გამოთხოვა ხდება ადამინისტრაციული ორგანოებიდან და მათ შორის რამდენად ხშირად ელექტრონული რესურსების გამოყენებით;
- რამდენად კარგად იცავენ ადმინისტრაციული ორგანოები მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით გაცემის ვალდებულებას;
- როგორია საჯარო ინფორმაციის გაცემის - სრულყოფილი, ნაწილობრივი და უარის თქმის - სტატისტიკა. ასევე, რამდენად მაღალია განცხადებების უპასუხოდ დატოვების შემთხვევები;
- იყენებენ თუ არა ადმინისტრაციული ორგანოები პრაქტიკაში ისეთ საკანონმდებლო რეგულაციებს, როგორიცაა - შეტყობინება ათ დღიანი ვადის, ასლის მოსაკრებლისა და განცხადების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ;

კვლევაში სიღრმისეულად არ არის შესწავლილი ისეთი შემთხვევები, რომლის დროსაც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაინტერესებულ პირებს უარი უთხრეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ან ნაწილობრივ გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია. კვლევა, მხოლოდ ზოგადი სახით შეეხო ამ თემებს და ძირითადი საკითხების ჩამოთვლით შემოიფარგლა. თუმცა, ცხადია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისა და ნაწილობრივ ინფორმაციის გაცემის შემთხვევები თავისუფლად შეიძლება გახდეს ცალკე კვლევის საგანი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილი და გაცემული ინფორმაციის დათვლის მიზნით, კვლევის ავტორებმა IDFI-ს შემთხვევაში დათვლა აწარმოეს არა ერთი განცხადება ერთი ინფორმაციის პრინციპით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენი საჯარო ინფორმაცია იყო მოთხოვნილი ერთი განცხადების საფუძველზე. საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი სხვა დანარჩენი პირების შემთხვევაში კი, ერთი განცხადება ერთი ინფორმაცის პრინციპით მოხდა დათვლა.

საგულისხმოა ისიც, რომ იმის გასარკვევად, თუ რა ტიპის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საანგარიშო პერიოდში, კველვის ავტორებმა ინდივიდუალურად შეისწავლეს თითოეული განცხადება და ყველა იმ ინფორმაციის იდენტიფიცირება მოახდინეს რომელთა გაცემასაც დაინტერესებული პირები ითხოვნდნენ. ამასთან, მონაცემების დათვლისა და სტატისტიკური შედეგების მიღების დროს, კვლევის ავტორები მხოლოდ იმ ინფორმაციით სარგებლობდნენ რაც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მიაწოდეს და მიღებული ინფორმაციის გადამოწმების საშუალება არ ჰქონიათ.

დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობის დროს

სამწუხაროდ, კვლევაზე მუშაობის დროს ყველა ადმინისტრაციული ორგანოდან ვერ მოხერხდა ინფორმაციის მიღება. მაგ: საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ ზოგადი ხასიათის სტატისტიკური ინფორმაცია გასცა და არა საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით უზენაეს სასამართლოში წარდგენილი ყველა განცხადებისა და გაცემული ინფორმაციის ასლი. შესაბამისად, კვლევაში უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებული ინფორმაცია თავიდან ბოლომდე სასამართლოს მიერ მოწოდებულ მონაცემებს ეყრდნობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კი საერთოდ არ გასცეს ინფორმაცია. რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებს, აღნიშნულმა ორმა სამინისტრომ იმდენად გვიან გასცეს ინფორმაცია, რომ ფიზიკურად ვერ მოხერხდა მონაცმების დამუშავება და მისი კვლევაში სათანადოდ ასახვა.

კვლევის ძირითადი მიგნებები და სტატისტიკური შედეგები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემდეგი მიგნებების გამოყოფა შეიძლება:

- კვლევის დროს შესწავლი ადმინისტრაციული ორგანოები უმრავლეს შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სცემენ პასუხს საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით წარდგენილ განცხადებებზე (თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში გასცემენ მოთხოვნილ ინფორმაციას);
- 17 ადმინისტრაციული ორგანოს მაგალითზე მაღალია სრულყოფილი სახით საჯარო ინფორმაციის გაცემის ფაქტები;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების საერთო სტატისტიკის გათვალისწინებით დაბალია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შემთხვევები;
- 17 ადმინისტრაციული ორგანოს მაგალითზე, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტჯერ დაინტერესებული პირების მიერ ხელშეკრულებები, მემორანდუმები და სხვა სამართლებრივი აქტების გამოთხოვა ხდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი მოთხოვნა დაფიქსირდა საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში.
- ყველა ადმინისტრაციული ორგანოში მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა, თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლებას და შვებულების საკთხებს.

ამასთან, კველევამ ნათლად აჩვენა, რომ იმ 17 ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელთა მიერ მოწოდებული მონაცმებიც ჩვენს მიერ იქნა დათვილილი, საერთო ჯამში 4500-ზე მეტი მოთხოვნა შევიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით. ამ მხრივ ყველაზე მეტი მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში იქნა წარდგენილი. ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში დეტალურად არის ასახული მონაცემები 17 ადმინისტრაციული ორგანოს მიხედვით.


საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1039
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
550
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
509
საქართველოს პარლამენტი
419
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
338
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
334
საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
283
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
256
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
162
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
152
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
146
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
131
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
127
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
123
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
69
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
57
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
47

მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, დაინტერესებულმა პირებმა 17 ადმინისტრაციულ ორგანოში 600-ზე მეტ შემთხვევაში ელექტრონილი ფორმით მოითხოვეს ინფორმაცია. ბეჭდური და ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მოთხოვნის დინამიკა ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



ზემოთ მოყვანილ დიაგრამაზე გამოსახული ციფრები ნათლად მიუთითებს, რომ ელექტრონული რესურსების გამოყენებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევები არც ისე დიდია და მთლიანობაში მთელი მოთხოვნების 14% არ აჭარბებს. ამასთან, აღნიშნული 14% ძირითადად რამდენიმე სამინისტროზე მოდის.

17 ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოწოდებული მონაცემების დამუშავების შედეგად შესაძლებელი გახდა ასევე იმ ინფორმაციათა კატეგორიების სახით იდენტიფიცირება, რომელსაც ყველაზე ხშირად ითხოვდნენ დაინტერესებული პირები. კერძოდ:


ინფორმაციის კატეგორია
ხელშეკრულებები, შეთანხმებები, მემორანდუმები და სხვა სამართლებრივი აქტები
609
თანამშრომელთა დანიშვნა, გათავისუფლება და შვებულება
505
პრივატიზაცია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები
307
შრომის ანაზღაურება
267
სახელმწიფო შესყიდვები
198
პროგრამები და პროექტები
178
განცხადებები, საჩივრები და ადმ. წარმოების მასალები
176
სამართალდარღვევები, ინსპექტირება და სხვადასხვა სახის შემოწმებები
171
სხვა შრომით სამართლებრივი საკითხები
154
საწარმოები
151
ავტოსატრანსპორტო საშუალებები
129
ბაღები, სკოლები, კოლეჯები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები
103
სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები
80
გზების, ხიდების, გვირაბების, პორტების, აეროპორტების, მეტრო სადგურებისა და ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა
68
ოფიციალური კორესპონდენციის ასლები
63

საგულისხმოა, რომ კვლევაზე მუშაობის დროს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც პასუხის სახით გაეგზავნათ დაინტერესებულ პირებს, არ არის დაკავშირებული უშუალოდ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან.

ადმინისტრაციული ორგანოები რიგ შემთხვევებში სარგებლობენ 10-დღიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობით. ასევე, საჯარო ინფორმაციის მოსაკრებლის გადახდის საჭიროების შესახებ შეტყობინების გაგზავნით. მთელ რიგ შემთხვევებში - კი ხდება წარდგენილი განცხადების შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნა.

კვლევის მომზადების დროს არაერთი განცხადება იყო ისეთი, რომლის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზვნის შემდეგ, შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ რამდენად კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გაიცა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით წარდგენილ მოთხოვნებზე გაცემული პასუხები ყველა შემთხვევაში არ გულისხმობს უშუალოდ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. შესაბამისად, ინფორმაცია რომელზეც, კვლევაზე მუშაობის დროს, მიგვიწვდა ხელი, დაინტერესებულ პირთა მოთხოვნებისა და მიწოდებული საჯარო ინფორმაციის კუთხით (და არა ზოგადად პასუხის გაცემა) შემდეგ სურათს გვაძლევს:



კიდევ ერთი საკითხი, რომელიც კვლევის დროს ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ეხებოდა უშუალოდ, შეტყობინებებს - 10 დღიანი ვადის გამოყენებისა და საჯარო ინფორმაციის მოსაკრებლის გადახდის საჭიროების შესახებ. ასევე, კანონმდებლობით

განსაზღვრულ შემთხვევებში განცხადების შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნასა და რიგ შემთხვევებში მოთხოვნის დაზუსტების მიზნით, განმცხადებლისთვის ე.წ. განმარტების თხოვნით მიმართვას. ამ საკითხებთან დაკავშირებით შემდეგი სურათი მივიღეთ:



კვლევაში ინდივიდუალურად, თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს მიხედვით, არის წარმოდგენილი ინფორმაცია ისეთ საკითხზე, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაინტერესებული პირისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში პასუხის გაცემას გულისხმობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგი სტატისტიკური მონაცემები მივიღეთ:



კვლევის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ასევე რიგი საინტერესო სტატისტიკური მონაცემების იდენტიფიცირება ინდივიდუალურად თითოეული თემის მიხედვით. მაგალითად, ინფორმაცია იმ ადმინისტრაციული ორგანოების შესახებ, რომელთა მიერ ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა განცხადების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნა შემდეგი სახისაა:



კვლევის შედეგების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულ იქნა ასევე სამი ადმინისტრაციული ორგანო, რომელთა მიერ ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა შეტყობინება საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის გადახდის საჭიროების შესახებ:



რაც შეეხება იმ სამ ადმინისტრაციულ ორგანოს რომლებმაც ყველაზე ხშირად უთხრეს დაინტერესებულ პირებს უარი ინფორმაციის გაცემაზე შემდეგია:



ამასთან, საანაგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემდეგ სამ ადმინისტრაციულ ორგანოში შევიდა:



კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემი იმ სამ ადმინისტრაციულ ორგანოს ეხება, რომლებსაც დაინტერესებული პირები ყველაზე ხშირად მიმართავდენენ ელექტრონული ფორმით:



კვლევის შემდგომ ნაწილში დეტალურად არის განხილული ჩვიდმეტივე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით განხორციელებული საქმიანობა.

საქართველოს პარლამენტი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 419 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღნიშნული 419 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში, პარლამენტის მიერ ხდებოდა წარდგენილი განცხადებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაგზავნა ასევე, ე.წ. შუალედური პასუხების მომზადება, კვლევის მიმდინარეობის დროს ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის ავტორებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სურათს იძლევა:



საქართველოს პარლამენტმა 405 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი. ხოლო, 14 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტიდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც კანონებს, კანონპროექტებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს ეხებოდა.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს პარლამენტიდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მათ შორის მოცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ელექტრონული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი;
- სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- იარაღის სარეგისტრაციო ნომერი;
- კითხვარი;
- სავალდებულო სამხედრო სამსახური;
- პარლამენტის ლოგო;
- პოლიტიკურ დევნილებთან დაკავშირებული საკითხები;
- რელიგიური კონფესიებისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასად გაწეული მომსახურება და გადაცემული ქონება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

ცალკე უნდა აღინიშნოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. საქართველოს პარლამენტში, საანგარიშო პერიოდში წარდგენილ 419 მოთხოვნიდან 114 საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულმა პირებმა სხვადასხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით მოითხოვეს ინფორმაცია. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი კანონებზე, კანონპროექტებსა და სხვა სამართლებრივ აქტებზე მოდის. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პარლამენტში ჯამში 96 მოთხოვნა იქნა წარდგენილი.



ასევე, უნდა აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია, რომელიც მათ შორის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- პარლამენტის ქუთაისში გადატანასა და მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები;
- პარლამენტის აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებული მასალები;
- პარლამენტის შენობის კომუნალური ხარჯები;
- პარლამენტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი სამართალდარღვევები;
- კანონპროექტებთან დაკავშირებული საკითხები.

პარლამენტის მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ პარლამენტმა თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან). გარდა ამისა, ნაწილი დოკუმენტები ფიზიკურად არ ინახებოდა საქართველოს პარლამენტში.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ არ იქნა გაცემული, ძირითადად დაკავშირებული იყო პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების, თანაშემწეებისა და თავმჯდომარის მოადგილეების მძღოლების რეზიუმის გაცემასთან. პარლამენტმა აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მიზეზად პერსონალურ მონაცემებზე მიუთითა.

საქართველოს პარლამენტის მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში, კერძოდ 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 127 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, აღნიშნული 127 მოთხოვნიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 112 შემთხვევაში სრულად გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია. 13 შემთხვევაში ნაწილობრივ. ხოლო, 2 შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე.



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 127 მოთხოვნიდან 117 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი. ხოლო 10 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომელიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაგეგმილ, მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებს ეხებოდა.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მათ შორის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საჩივრები და განცხადებები
- მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- ელექტრონული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი;
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა და პროაქტიული გამოქვეყნება;
- სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- მინისტრის ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია**;**
- თანამდებობის პირების მიერ როუმინგულ ზარებებზე გაწეული ხარჯები;
- სამინიტროს მიერ ჩატარებული ღონისძიებები, კონფერენციები, კვლევები და სემინარები;
- სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის - ორგანოგრამა;
- სარწყავი სისტემები და მოსარწყავი ტერიტორიები;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულები;
- მედიასთან ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტები;
- 10 დეკემბრის ანგარიში;
- კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების სტატისტიკა;
- მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმებით გამოვლენილი დარღვევები;
- რელიგიური კონფესიებისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასად გაწეული მომსახურება და გადაცემული ქონება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

ცალკე უნდა აღინიშნოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. ამ ფორმით საანგარიშო პერიოდში სოფლის მეურნეობის სამინისტროში სულ 10 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით 7, ხოლო სამი www.my.gov.ge საშუალებით.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ყველაზე ხშირად ელექტრონული რესურსების გამოყენებით, სასმელი და სარწყავი სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია იყო მოთხოვნილი. კერძოდ, აღნიშნული ინფორმაცია სამინისტროდან სამჯერ იქნა ელექტრონული რესურსების გამოყენებით გამოთხოვილი.

რაც შეეხება სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციას, აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პერსონალურ მონაცემთა ბაზები და ფაილური სისტემები; პრემიის გაცემასთან დაკავშირებული ინფორმაცია; აგროსესხებთან დაკავშირებული რიგი საკითხები; ფშავში სოფლის მეურნეობის განვითარება; შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებული და ათვისებული თანხები, საწარმოთა ტიპები და რაოდენობა; სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში განხორციელებული შემოწირულობები; სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები და სხვა.

ბუნებრივია, რომ სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო პერსონალურ მონაცემებთან).

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, დაინტერესებულ პირს ორ შემთხვევაში უთხრა უარი მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. კერძოდ:

- საწარმოების აუდიტორული შემოწმების აქტების, მოგება-ზარალის უწყისებისა და საბალანსო ანგარიშგების დოკუმენტების გაცემა;
- მინისტრის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების მიწოდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია, ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 550 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღნიშნული 550 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, სამინისტროს მიერ ხდებოდა წარდგენილი განცხადებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაგზავნა, მოთხოვნის დაზუსტება თუ სხვადასხვა სახის ე.წ. შუალედური პასუხების მომზადება, კვლევის მიმდინარეობის დროს ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის ავტორებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სურათს იძლევა:



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 550 მოთხოვნიდან 463 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი, 84 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა, ხოლო 3 განცხადება უპასუხოდ იქნა დატოვებული.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ბაღების, სკოლების კოლეჯებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოთხოვილ „სხვა საჯარო ინფორმაციას“, იგი აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- სამინისტროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ოდენობა;
- სარეკლამო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები/მედია საშუალებებისათვის გადარიცხული თანხების ოდენობა;
- სამინისტროს FACEBOOK-ისა და ოფიციალური ვებ-გვერდის ფუნქციონირებაზე/რეკლამირებაზე გაწეული ხარჯები;
- სამინისტროსათვის ჩუქების სახით გადაცემული უძრავ/მოძრავი ქონება;
- სამინისტროს მიერ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ქვეყნის შიგნით და მის გარეთ განხორციელებული ვიზიტები;
- საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული მოთხოვნის დანერგვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები/საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა/10 დეკემბრის ანგარიშები;
- გენერალური ინსპექციის დასკვნები;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/ფაილური სისტემის კატალოგები;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ განხორციელებული სამართალდარღვევები;
- 2008 წლის ომის შემდეგ დახმარების სახით გადმოცემული თანხები/ჰუმანიტარული ტვირთი;
- რელიგიური კონფესიებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონება/გაწეული მომსახურება;
- კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები;
- ინფორმაციის დასაიდუმლოება/განსაიდუმლოება;
- მინისტრის/მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაცია;
- ნაცვალგების პრინციპის მოქმედება საქართველოში;
- სახელმწიფო გამოცდები, სახელმწიფო დაფინანსება;
- სხვადასხვა პირების შესახებ დაცული ინფორმაცია (ნამსახურეობის, ხელფასის ოდენობის, საგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების, ა.შ);

ცალკე უნდა აღინიშნოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საანგარიშო პერიოდში სულ 550 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ 95 საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულმა პირებმა ელექტრონული ფორმით მოითხოვეს ინფორმაცია.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ელექტორნული რესურსის საშუალებით ყველაზე ხშირად შემდეგი ხუთი კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა:

	ინფორმაციის კატეგორია	მოთხოვნის რაოდენობა
1.	თანამშრომელთა დანიშვნა/განთვისუფლება/შვებულება (მათ შორის საჯარო სკოლის დირექტორების/მასწავლებლების)	19
2.	სამართლებრივი აქტები	14
3.	სკოლების, ბაღების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ინფორმაცია	9
4.	პროექტები/პროგრამები	7
5.	გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევის შესახებ ინფორმაცია	4

ცალკე უნდა აღინიშნოს სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საჯარო სკოლების მისამართები/რაიონული განლაგება და მოსწავლეთა რაოდენობა, სამინისტორს მიერ შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ექსპლუატაციის ხარჯები, ოპტიმიზაციას დაქვემდებარებული საჯარო სკოლები, კონკურსის ჩატარების წესი/საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები/დანიშვნის ბრძანებები, განპიროვნებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სხვადასხვა საჯარო სკოლების ლიკვიდაციის საფუძვლები/უფლებამონაცვლე, სამინისტროში დასაქმებულ პირთა სახელობითი სია, პროგრამა „ცოდნის კარის ფარგლებში“ დაფინანსებული პირების სახელობითი სია, შიდა აუდიტის მოხსენებითი ბარათი/ადმინისტრაციული წარმოების მასალები, სასკოლო სახელმძღვანელობის დაბეჭვდის მიზნით სტამბების შერჩევის პრინციპი/გაფორმებული ხელშეკრულების ასლები და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან, აღმასრულებელ პრივილეგიასა თუ კომერციულ საიდუმლოებასთან). ამასთან, ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციათა შორის მოხვდა ისეთი საკითხებიც, როდესაც მართალია მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტროში არ იყო დაცული, თუმცა არ ხდებოდა განცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნა.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც სამინისტროს მიერ არ იქნა გაცემული, აღნიშნული უმეტესწილად დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული წარმოების მასალებთან, საჯარო სკოლის/სამინისტროს თანამშრომელთა დანიშვნა/გათავისუფლების ბრძანებებთან, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მიგრაციასთან, საჯარო სკოლის საშტატო ნუსხასთან/გამოყოფილ ბიუჯეტთან, კერძო სკოლების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციასთან და სხვა. სამინისტროს მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი უმეტესწილად დაკავშირებული იყო პერსონალური მონაცემების დაცვასა და ისეთ შემთხვევებთან, როდესაც განმცხადებლის მხრიდან ერთი და იმავე განცხადების წარმოდგენა ხელმეორედ ხდებოდა, მაშინ როდესაც პირველ განცხადებასთან მიმართებით ინფორმაცია უკვე გაცემული იყო სამინისტროს მხრიდან. (ზაკ-ის 102-ე მუხლი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 509 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული 509 მოთხოვნიდან, მთელ რიგ შემთხვევებში, სამინისტროს მიერ ხდებოდა წარდგენილი განცხადებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაგზავნა ან განმცხადებლის მხრიდან მოთხოვნის დაზუსტება, კვლევის მიმდინარეობის დროს ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის ავტორებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სახეს იძენს:



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 509 მოთხოვნიდან 495 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი, 13 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა, ხოლო 1 შემთხვევაში განცხადება უპასუხოდ იქნა დატოვებული.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილ იქნა სხვადასხვა პირების მიერ შეტანილი განცხადებებისა და საჩივრების შესახებ ინფორმაცია. გარდა აღნიშნულისა, ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე დეტალურადაა წარმოდგენილი, ინფორმაციის ყველა ის კატეგორია, რომელიც წარმოადგენდა განმცხადებელთა მხრიდან განსაკუთრებული მოთხოვნის საგანს.



დიაგრამაში მითითებული ჩანაწერი „სხვა საჯარო ინფორმაცია“ კი აერთიანებს შემდეგ საკითხებს:

- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები;
- სამინისტროს თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება, გაცემული პრემია/დანამატები/“როუმინგულ“ ზარებზე გაწეული ხარჯები;
- გაცემული ლიცენზია/ნებართვები;
- დემოგრაფიული მდგომარეობა;
- ჩატარებული კონფერენციები, ღონისძიებები, სემინარები;
- FACEBOOK/ოფიციალური გვერდის რეკლამირება/ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- უსასყიდლოდ გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება;
- ქვეყნის შიგნით/გარეთ განხორციელებული მივლინების ხარჯები;
- საარსებო მინიმუმი/უმუშევრობა;
- სამინისტროს ბიუჯეტი/საკასო შესრულება;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული მოთხოვნის დანერგვა/საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია/10 დეკემბრის ანგარიში;
- სამედიცინო მედიკამენტები;
- მინისტრი/მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო განათლება;
- სქესის შესცვლა/სუროგაცია;
- ჰაერის დაბინძურების დონე/შესაძლო უარყოფითი შედეგები;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- ინფორმაციის დასაიდუმლოება/განსაიდუმლოება;
- მინისტრის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი კორესპონდენცია;
- სამეწარმეო სუბიექტის დაფუძნება/უძრავი ქონების მესაკუთრე;
- ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეგისტრირებული მსხვერპლები/მათი თავშესაფარი;
- სამედიცინო პერსონალის მიერ ჩადენილი გადაცდომები და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, საანგარიშო პერიოდში სულ 509 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. 33 საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულმა პირებმა ელექტრონული ფორმით მოითხოვეს ინფორმაცია.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ყველაზე ხშირად ელექტრონული რესურსების გამოყენებით შემდეგი ხუთი კატეგორიის ინფორმაციას ითხოვდნენ:

	ინფორმაციის კატეგორია	მოთხოვნის რაოდენობა
1.	თანამშრომელთა დანიშვნა, განთავისუფლება და შვებულება	5
2.	სხვადასხვა დაავადებები	5
3.	სამედიცინო დაწესებულებები	4
4.	ფულადი დახმარება	3
5.	თავშესაფარი, ბავშვთა სახლები, პანსიონატები	2

ცალკე უნდა აღინიშნოს სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მეტადონის პროგრამაში ჩართული ორგანიზაციები, სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, ბავშვთა სახლების მონიტორინგი, უსახლკარო პირთა განსახლება/გამოსახლება, შობადობის მაჩვენებელი, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები/კონკურსანტთა მონაცემები, სამედიცინო პროფილის დაწესებულებათა განკარგვა, კონკრეტული პირის მკურნალობის დაფინანსება, თანამშრომელთა დანიშვნა/განთავისუფლება სახელფასო ბადე/პრემია/დანამატი, ჩატარებული ღონისძიებები, შშმ პირების დასაქმება, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზარალებულნი, სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის დაფინანსება, სამედიცინო დაწესებულების გასხვისება და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ გულისხმობს სამინისტროს მხრიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე თავის არიდებას. რიგ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი

შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან). ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციათა შორის მოხდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ნაცვლად, ხდებოდა მისი გადამისამართება სამინისტროს ვებ-გვერდზე.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც სამინისტროს მიერ არ იქნა გაცემული, აღნიშნული დაკავშირებული იყო კონკრეტული პირის მკურნალობის მიზნით გადარიცხულ თანხების ოდენობასთან/გადარიცხვის თარიღებთან, მზრუნველობა მოკლებული ბავშვების ასაკთან, ადგილსამყოფელსა და მეურვის საკონტაქტო ინფორმაციასთან, სამედიცინო დაწესებულების მედპერსონალის სახელფასო ბადესთან, ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტალის ფუნქციონირების შეწყვეტის თარიღთან და სხვა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში, კერძოდ 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 283 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღნიშნული 283 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში სამინისტროში წარდგენილი განცხადებები სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაიგზავნა, ასევე, მომზადდა და შესაბამის დაინტერესებულ პირებს გაეგზავნათ ე.წ. შუალედური პასუხები. კვლევის მიმდინარეობის დროს ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის ავტორებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სურათს იძლევა:



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, 283 მოთხოვნიდან 279 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი, ხოლო 4 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა.



საანგარიშო პერიოდში დაინტერესებული პირების მიერ, სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ისეთი ინფორმაცია, რომელიც მსხვილ სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხებოდა. კერძოდ, საუბარია გზების, ხიდების, გვირაბების, პორტების, აეროპორტების, მეტრო სადგურების და ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობაზე.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მათ შორის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- სამართლებრივი აქტები;
- კურორტების რეაბილიტაცია;
- მიუსაფარ ადამიანთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაგზავნილი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საქართველოს რეგიონების შესახებ;

- ნაგავსაყრელები;
- ფშავში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა;
- ლიცენზიები და ნებართვები;
- სოფლებში გამართული საერთო კრებები;
- გარე განათება;
- თვითმმართველი ერთეულების საკონტაქტო ინფორმაცია;
- საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები;
- სატყეო ფონდთან დაკავშირებული საკითხები;
- 2013 წელს განხორციელებული პროექტების სია;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირთა რაოდენობა;
- საჩივრები და განცხადებები
- მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა და პროაქტიული გამოქვეყნება;
- სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- მინისტრის ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია**;**
- თანამდებობის პირების მიერ როუმინგულ ზარებზე გაწეული ხარჯები;
- სამინიტროს მიერ ჩატარებული ღონისძიებები, კონფერენციები, კვლევები და სემინარები;
- სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის - ორგანოგრამა;
- მედიასთან ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტები;
- მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმებით გამოვლენილი დარღვევები;
- რელიგიური კონფესიებისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასად გაწეული მომსახურება და გადაცემული ქონება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში სამინისტროში სულ 283 მოთხოვნა იყო წარდგენილი ინფორმაციის გაცემის მიზნით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ამათგან - 88 მოთხოვნა ელექტრონული ფორმით იქნა წარდგენილი. მათ შორის 4 www.my.gov.ge-ს საფუძველზე, 18 ვებ-მეილის გამოყენებით, ხოლო დარჩენილი 66 სხვა ელექტრონული საშუალებებით.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრქუტურის სამინისტროდან, ყველაზე ხშირად ელექტრონული რესურსების გამოყენებით, შემდეგი ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა:

	ინფორმაციის კატეგორია	მოთხოვნის რაოდენობა
1.	გზების, ხიდების, გვირაბების, პორტების, აეროპორტების და მეტრო სადგურების მშენებლობა	20
2.	პროექტები და პროგრამები	19
3.	თანამშრომელთა დანიშვნა, გათავისუფლება და შვებულება	7

რაც შეეხება სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციას, აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: თვითმმართველობებში დაგეგმილი კონკურსები; 2004-2012 წლებში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯული თანხები; ამბულატორიის მშენებლობა; სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები; სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია; მიუსაფარ ადამიანთა თავშესაფრით უზრუნველყოფა; ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება; სამინიტროში დასაქმებულ პირთა სია (სახელი, გვარი, თანამდებობა, თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი, პრემიის წესის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი); მივლინებათა ხარჯები და საწვავში გადახდილი თანხები; პრეზიდენტის რეზიდენციის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

კვლევის ავტორთა აზრით, ისევე როგორც სხვა სამინისტროების შემთხვევაში, არც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან მიმართებაში არ უნდა გავიგოთ ისე, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო პერსონალურ მონაცემებთან, სახელმწიფო საიდუმლოებასთან). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა იმის გაგება, თუ რამდენად საფუძვლიანი და დასაბუთებული იყო რიგ შემთხვევებში სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილობრივ გაცემა, შეუძლებელია საკითხზე სიღრმისეული მსჯელობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაინტერესებულ პირს უარი მრავალშვილიან დედებზე გაცემულ დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხზე უთხრა.

ამავე სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 123 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტული სამინისტროს შემთხვევაში, მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა ე.წ. შუალედური პასუხის მომზადება (ასლის მოსაკრებლის გადახდის მოთხოვნა), შესაბამისად ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა, თითქმის სრულყოფილად ასახავს არსებულ ვითარებას:



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტომ 123 მოთხოვნიდან 86 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი, ხოლო 36 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ.

სამინისტროდან გამოთხოვნილი ინფორმაციის დეტალური ცხრილი, ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი:



რაც შეეხება დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, იგი შემდეგ საკითხებს აერთიანებს:

- საქართველოში არსებული საელჩოები/ელჩები/საკონსულოები;
- სამინიტროს ბიუჯეტი/ საკასო შესრულება;
- ინფორმაციის დასაიდუმლოება/განსაიდუმლოება;
- ეგვიპტეში შექმნილი ვითარება;
- სხვადასხვა დოკუმენტების გაცემის საკითხი/მისი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობები/დიპლომატიური თანამდებობის პირები;
- გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში გაგზავნილი პერიოდული ანგარიშები;
- ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც ცნობენ საქართველოში გაცემულ ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს;
- სამინისტროს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები;
- პერსონალური მონაცემები/ფაილური სისტემის კატალოგი/პროგრამები, რომელშიც მუშავდება პერსონალური მონაცემები;
- სიკვდილით დასჯის საფრთხის მქონე ან სიკვდილმისჯილთა რიგებში მდგარი საქართველოს მოქალაქეები;
- იორდანიის, ლიბანისა და სირიის სახელმწიფოებში სავაჭრო ეკონომიკური წარმომადგენლობისათვის გადარიცხული თანხების ოდენობა/ხარჯთაღრიცხვა;
- რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები;
- რელიგიური კონფესიებისათვის უსასყიდლოდ/შეღავათიან ფასად გადაცემული ქონება/გაწეული მომსახურება;
- ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილია უვიზო/გამარტივებული სავიზო რეჟიმი და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საანგარიშო პერიოდში შემოსულ 123 მოთხოვნიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვა. განმცხადებლის ინტერესის საგანს წარმოადგენდა - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის დაარსების შესახებ შეთანხმების ასლის მიღება.

სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მინისტრზე/მოადგილეებზე/დეპარტამენტის უფროსებზე გაცემული პრემია, სამინისტროს ბიუჯეტი, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, სამინისტროს ბალანსზე რიცხული მობილური ტელეფონები, გასხვისებული და შეძენილი ავტომობილები, საკადრო საკითხები, თანამშრომლებზე გაცემული პრემიები, სამინისტროს მიერ გაწეული

წარმომადგენლობითი ხარჯები, ასოცირების ხელშეკრულების ასლი, ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილია უვიზო/გამარტივებული სავიზო რეჟიმი, მინისტრის მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტები და სხვა.

სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან). გარდა ამისა, დაფიქსირდა განმცხადებლის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადამისამართების შემთხვევებიც.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც სამინისტროს მიერ არ იქნა გაცემული, აღნიშნული დაკავშირებული იყო მინისტრის ოფიციალური ელექტორნული ფოსტიდან წარმოებულ კორესპოდენციასა და კონკრეტულ პირზე სამსახურებრივი პასპორტის გაცემასთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 256 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღნიშნული 256 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, სამინისტროს მიერ ხდებოდა წარდგენილი განცხადებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაგზავნა ან განმარტების მოთხოვნა, ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის მიმდინარეობისას გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სურათს იძლევა:



საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 256 მოთხოვნიდან 201 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი, 52 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა, ხოლო 3 განცხადება უპასუხოდ იქნა დატოვებული.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი ინფორმაცია შრომის ანაზღაურებას შეეხებოდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გამოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორიების შესახებ დეტალურ დიაგრამას ქვემოთ გთავაზობთ:



რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მათ შორის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- სხვადასხვა სახის შემოწმება (აუდიტი, გენერალური ინსპეცია, სხვა);
- სამხედრო სწავლება;
- სამხედრო-სამრეწველო ტექნიკური ცენტრი „დელტა“;
- სამინისტროში შემოსული საჩივრები;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტორნული ფორმით მოთხოვნის დანერგვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- დასაიდუმლოებული/განსაიდუმლოებული ინფორმაცია;
- მინისტრის/მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მინისტრის ელ-ფოსტიდან გაგზავნილი/მიღებული კორესპონდენცია;
- რელიგიური კონფესიებისათვის უსასყიდლოდ/შეღავათიან ფასად გადაცემული ქონება/გაწეული მომსახურება;
- სამხედრო ჰოსპიტალები;
- კონკრეტულ ტერიტორიაზე აღრიცხული მოსახლეობის კატეგორიებად დაყოფილი სიები/აღნიშნული სიები გადაგზავნილია თუ არა სხვა საჯარო დაწესებულებაში;
- პერსონალური მონაცემები/ფაილური სისტემის კატალოგები/პროგრამები, სადაც პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება/წვდომა აღნიშნულ პროგრამებზე;
- სამინისტროსა და სამეწარმეო სუბიექტებს შორის ურთიერთანამშრომლობის მიზნით გაფორმებული აქტები;
- პროგრამები/პროექტები;
- ეროვნული უსაფრთხოების ინდიკატორები/ხედვები/პრიორიტეტები;
- იარაღით დაჯილდოვებული პირები;
- ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საარქივო მასალები;
- სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების მასალები;
- ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები;
- აფხაზეთის ომის რეგისტრირებული ვეტერანები/მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი/სოციალური შეღავათები და სხვა.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნას, თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მსგავსი ხასიათის განცხადების იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა (აღნიშნული შესაძლებელია განპირობებული იყოს სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ე.წ.დაშტრიხვით).

ცალკე უნდა აღინიშნოს სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: იარაღით დაჯილდოებული პირების შესახებ ინფორმაცია, თანამშრომელთა გათავისუფლების ბრძანებები, შპს „თბილავიამშენთან“ დაკავშირებული საკითხები, კანონში ინიცირებული ცვლილებები,

ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტები, აფხაზეთის ომის რეგისტრირებული ვეტერანები/ვეტერანებზე გაცემული სოციალური დახმარება, ცნობა სახელფასო დავალიანების არსებობის შესახებ, თანამშრომელთა სახელობითი სია/ხელფასი/პრემია/დანამატი, ინფორმაციის დასაიდუმლოება/განსაიდუმლოების სამართლებრივი საფუძვლები და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან, სახელმწიფო საიდუმლოებასთან). ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციათა შორის მოხდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არ ხდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესით განცხადების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნა ან მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ნაცვლად ხდებოდა განმცხადებლის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადამისამართება.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც სამინისტროს მიერ არ იქნა გაცემული, აღნიშნული შეეხებოდა სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასებს/პრემიებს/დანამატებს, მინისტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტიდან წარმოებულ კორესპოდენციას, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ჩატარებულ ტენდერებს, კონკრეტული პირის ნამსახურეობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო-სამრეწველო ტექნიკური ცენტრის „დელტას“ შექმნაზე გახარჯულ თანხებს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პირთა საარჩევნო უფლების რეალიზებას, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ქალების ოდენობას და სხვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია, ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:


სხვა სტატისტიკა
0
0
2
42
ათდღიანი ვადის მოთხოვნა
ასლის მოსაკრებლის მოთხოვნა
განმარტების მოთხოვნა
განცხადების სხვა ადმ.ორგ. გადაგზავნა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, ენერგეტიკის სამინისტრში, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 152 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღნიშნული 152 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში, სამინისტროს მიერ ხდებოდა წარდგენილი განცხადებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაგზავნა, კვლევის მიმდინარეობის დროს ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის ავტორებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სახეს იძენს:



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ 152 მოთხოვნიდან ყველა მოთხოვნას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი.

დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილ იქნა საკადრო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია (თანამშრომელთა დანიშვნა/გათავისუფლება/შვებულება).

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი:



რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მათ შორის მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სამინისტროში შემოსული საჩივრები/განცხადებები;
- კონფერენციები, კვლევები და სემინარები;

- სამინისტროსთვის ჩუქების სახით გადაცემული უძრავი ქონება;
- მინისტრის/მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- აბონენტთა გამრიცხველიანება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული მოთხოვნის დანერგვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- ინფორმაციის დასაიდუმლოება/განსაიდუმლოება;
- მინისტრის ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი/მიღებული კორესპოდენცია;
- პერსონალური მონაცემები/ფაილური სისტემის კატალოგი/პროგრამები, სადაც პერსონალური მონაცემები მუშავდება/აღნიშნულ პროგრამებზე წვდომის შესაძლებლობა;
- შავ ზღვაში თევზის რეწვის მდგომარეობა;
- ენერგეტიკის მდგრადი განვითარების მაჩვენებელი;
- სამინისტროს ბიუჯეტი/საკასო შესრულება;
- სს კახეთის ენერგო დისტრიბუციის უფლებამონაცვლე;
- ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურები/გოგირდის გაწმენდის სისტემა;
- ნავთობის მოპოვება/ექსპორტირება
- კომისიები/საბჭოები/მათი დასკვნები;
- კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სხვა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში, საანგარიშო პერიოდში წარდგენილი 152 მოთხოვნიდან, 15 საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულმა პირებმა ელექტრონული ფორმით მოითხოვეს ინფორმაცია.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან ყველაზე ხშირად ელექტრონული რესურსების გამოყენებით შემდეგი ხუთი კატეგორიის ინფორმაციას ითხოვდნენ:

	ინფორმაციის კატეგორია	მოთხოვნის რაოდენობა
1.	ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები	2
2.	სარეკლამო მომსახურება	2
3.	სამართლებრივი აქტები	2
4.	სამინისტროს პოზიცია მოქალაქის მიერ წარდგენილ პროექტზე	1
5.	თანამშრომელთა დანიშვნა, განთავისუფლება, შვებულება	1

აქვე უნდა აღინიშნოს, სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: თანამშრომელთა სახელობითი სია/ხელფასი/პრემია/დანამატი, სამშენებლო/სარეაბილიტაციო პროექტები, ოფიციალური ვიზიტები, გამრიცხველიანებული აბონენტები, ლიცენზიის მფლობელი კომპანიები, ელექტრო სადგურების სარეაბილიტაციო ხარჯები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან, კომერციულ საიდუმლოებასთან). ამასთან, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციათა შორის მოხდა ისეთი საკითხებიც, რა დროსაც სამინისტრო დაინტერესებულ პირს მიუთითებდა, თუ რომელი ადმინისტრაციული ორგანოსთვის უნდა მიემართა სასურველი ინფორმაციის მისაღებად, თუმცა თავად არ ახდენდა განცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნას.

რაც შეეხება, ინფორმაციას, რომელიც სამინისტროს მიერ არ იქნა გაცემული, აღნიშნული დაკავშირებული იყო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებებთან, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ განხორციელებულ სამართალდარღვევის ფაქტებთან, ხუდონჰესის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან, ელექტრო მომარაგების მიზნით გახარჯულ სახსრებთან და სხვა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:


სხვა სტატისტიკა
0
0
0
9
ათდღიანი ვადის მოთხოვნა
ასლის მოსაკრებლის მოთხოვნა
განმარტების მოთხოვნა
განცხადების სხვა ადმ.ორგ. გადაგზავნა

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საანგარიშო პერიოდში 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში სულ 57 მოთხოვნა იქნა წარდგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, რომლის დიდი ნაწილიც იურიდიულ პირებზე მოდის.

წარდგენილი განცხადებებიდან უმრავლეს შემთხვევაში, კერძოდ 53 განცხადებაზე მინისტრის აპარატმა სრულყოფილად გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია, სამ შემთხვევაში ინფორმაცია ნაწილობრივ იქნა გაცემული, ხოლო, ერთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე.

კერძოდ, მინისტრის აპარატმა არ გასცა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო მინისტრის სამუშო ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემასთან. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განცხადების წარმდგენ სუბიექტს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებაზე უარი უთხრა.

რაც შეეხება ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციას, აღნიშნულ კატეგორიაში მოხვდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ატესტაციასა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ინფორმაციასთან. ასევე, ინფორმაცია 2008-2013 წლებში მინისტრისთვის, მინისტრის მოადგილეთა და დეპარამენტის ხელმძღვანელთათვის დარიცხული ჰონორარების, სამივლინებო ხარჯების, პრემიების და ხელფასებზე დანამატის სახით გაცემული თანხების შესახებ.



სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 57 მოთხოვნიდან 55 შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა ინფორმაცია.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატში თანამშრომელთა რაოდენობას, დანიშვნა-გათავისუფლებას და შვებულებით მოსარგებლე პირთა რაოდენობას შეეხებოდა.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ელ-სერვისების დანერგვა/შენახვა/განახლება;
- რელიგიური კონფესიებისათვის ქონების გადაცემა და მომსახურების გაწევა;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- საჩივრები და განცხადებები;
- სამინისტროს მიერ ჩატარებული ღონისძიებები, კონფერენციები და სემინარები;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და ეთნიკური ქართველები;
- საკასო შესრულების ანგარიში;
- დაფინანსებული კვლევები;
- საჯარო ინფრომაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა და პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია;
- მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები;
- მინისტრის სამსახურებრივი ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია;

- მინისტრის და მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის 2 შემთხვევა დაფიქსირდა.



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



ევროპულ და ევროატლანტიკურ სრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საანგარიშო პერიოდში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში 47 მოთხოვნა იქნა წარდგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

წარდგენილი განცხადებებიდან უმრავლეს შემთხვევაში, კერძოდ 37 განცხადებაზე მინისტრის აპარატმა სრულყოფილად გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია. 5 შემთხვევაში ინფორმაცია ნაწილობრივ იქნა გაცემული. ერთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, ხოლო ოთხი მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.



კერძოდ, მინისტრის აპარატმა არ გასცა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო მინისტრის სამუშო ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემასთან.

რაც შეეხება ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციას, აღნიშნული თემის ქვეშ ერთიანდება მოთხოვნები ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა:

- ინფორმაცია თანამშრომლებზე პრემიების გაცემის შესახებ;
- მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საკითხები;
- როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ პასუხგაუცემელი დარჩა მოთხოვნები ისეთ საკითხებზე, რომელიც შეეხებოდა:

- გადაუდებელი შესყიდვები და ამ ტიპის შესყიდვების ნუსხა;
- ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჩანაცვლება;
- მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 47 მოთხოვნიდან 40 მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა ინფორმაცია. სამ შემთხვევაში ვადა არ იყო დაცული. ხოლო ოთხ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა დაინტერესებული პირის მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატში თანამშრომელთა რაოდენობას, დანიშვნა - გათავისუფლებასა და შვებულებით მოსარგებლე პირთა რაოდენობას შეეხებოდა.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- რელიგიური კონფესიებისათვის ქონების გადაცემა და მომსახურება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- სტატისტიკური ინფორმაცია მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების შესახებ;

- საკასო შესრულების ანგარიში;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ელექტრონული ფორმით გაცემა;
- მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- მინისტრის სამსახურებრივი ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია;
- ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით განხორციელებული ვიზიტები;

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში სულ 69 მოთხოვნა იქნა წარდგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნების დიდი ნაწილი იურიდიულ პირებზე მოდის.

წარდგენილი განცხადებებიდან უმრავლეს შემთხვევაში, კერძოდ 68 მოთხოვნაზე მინისტრის აპარატმა სრულყოფილად გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია, ხოლო, ერთი მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. კერძოდ, აღნიშნული მოთხოვნა შეეხებოდა მინისტრის აპარატის მიერ როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის გაცემას.



სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 69 მოთხოვნიდან 66 მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა ინფორმაცია. ორ შემთხვევაში ვადა არ იყო დაცული. ხოლო ერთ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა დაინტერესებული პირის მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.



დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატში თანამშრომელთა რაოდენობას, დანიშვნა-გათავისუფლებას და შვებულებით მოსარგებლე პირთა რაოდენობას შეეხებოდა.

დეტალური მონაცემები, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერი „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მიოცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ელ-სერვისების დანერგვა, შენახვა და განახლება;
- რელიგიური კონფესიებისათვის ქონების გადაცემა და მომსახურება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- სტატისტიკური ინფორმაცია მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების შესახებ;
- სამინისტროს მიერ ჩატარებული ღონისძიებები, კონფერენციები და სემინარები;
- დაფინანსებული კვლევები;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ელექტრონული ფორმით გაცემა;
- მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები;
- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საკითხები - გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- მინისტრისა და მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- მინისტრის სამსახურებრივი ელ.ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია;
- ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით მთავრობის დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისია;
- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით საზღვრისპირა რაიონების განვითარების გეგმა და მოსახლეობათა საჭიროება;
- ინფორმაცია პარტნიორობა ღია მმართველობის ფარგლებში საზოგადოების წინადადებებთან დაკავშირებით;
- სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საანგარიშო პერიოდში 129 მოთხოვნა იქნა წარდგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. აღნიშნული 129 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში სამინისტროში წარდგენილი განცხადებები სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაიგზავნა, ასევე, მომზადდა და შესაბამის დაინტერესებულ პირებს გაეგზავნათ ე.წ. შუალედური პასუხები, ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო შემდეგ სურათს გვაძლევს:



როგორც ზემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ირკვევა, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, სამინისტროში წარდგენილი მოთხოვნებიდან უმრავლეს შემთხვევაში, კერძოდ, 107 მოთხოვნაზე სამინისტრომ სრულყოფილად გასცა ინფორმაცია. 12 საკითხზე ნაწილობრივ. ხოლო სამ საკითხთან დაკავშირებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი იქნა ნათქვამი. ამასთან, ორი მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

კერძოდ, სამინისტროს მიერ ნაწილობრივ იქნა გაცემული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია; ასევე, დეტალური ინფორმაცია სამინისტროში გაცემული სახელფასო დანამატისა და პრემიის შესახებ; 2009-2013 წლებში განსახლების ღონისძიებებთან

დაკავშირებული ინფორმაცია; დევნილთა სამომავლო განსახლებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვა.

სამინისტრომ უარი განაცხადა ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც შეეხებოდა:

- კონკრეტულ რაიონებში მცხოვრებ/რეგისტრირებულ დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის შედეგად მიღებულ მონაცემებს (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია);
- დეტალურ ინფორმაცია სამინიტროში გაცემული პრემიების შესახებ;
- მინისტრის სამუშო ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;

სამინისტროს მხრიდან უპასუხოდ იქნა დატოვებული მოთხოვნები, ისეთი ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელიც შეეხებოდა: ინტერენტ სივრცეში გავრცელებული და დამზადებული რეკლამების შესახებ ინფორმაციას. ასევე, ელ-სერვისების დანერგვა, შენახვასა და განახლებაზე გაწეულ ხარჯებს.

სამინისტრომ 129 მოთხოვნიდან 110 მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა ინფორმაცია. 17 საკითხთან დაკავშირებით ვადა არ იყო დაცული, ხოლო ორ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, დაინტერესებული პირის მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.



დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომელიც დევნილთა განსახლების საკითხებს ეხებოდა.

დეტალური მონაცემები, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებული ჩანაწერი „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ელექტრონული რესურსების და სერვისების დანერგვა, შენახვა და განახლება;
- რელიგიური კონფესიებისათვის ქონების გადაცემა და მომსახურების გაწევა;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- სტატისტიკური ინფორმაცია მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების შესახებ;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ელექტრონული ფორმით გაცემა;
- მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები;
- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საკითხები - გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- მინისტრის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაციის ასლები;
- მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- სავიზო რეჟიმი;
- სამინისტროს მიერ სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები;
- სტაჟირება და პრაქტიკა;
- საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები;
- საბჭოთა ანაბრები;
- აფხაზეთიდან სამკურნალოდ ჩამოსული პირები;
- ლტოლვილთა რაოდენობა საქართველოში;
- სახელმწიფო პოლიტიკა თბილისის სხვადასხვა ობიექტებში უკანონოდ შესახლებული სოციალურად დაუცველი უსახლკარო პირების მიმართ;
- დევნილთა კოლექტიური ცენტრები;
- ხუდონჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- დევნილთა შემწეობების შესახებ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის ინფორმაციის მიწოდება;
- დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის განხორციელება;
- უცხოლთათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:


სხვა სტატისტიკა
2
1
0
5
ათდღიანი ვადის მოთხოვნა
ასლის მოსაკრებლის მოთხოვნა
განმარტების მოთხოვნა
განცხადების სხვა ადმ.ორგ. გადაგზავნა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

სააგნარიშო პერიოდში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში 146 მოთხოვნა იქნა წარდგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. აღნიშნული 146 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში სამინისტროში წარდგენილი განცხადებები სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაიგზავნა, ასევე, მომზადდა და შესაბამის დაინტერესებულ პირებს გაეგზავნათ ე.წ. შუალედური პასუხები, ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო შემდეგ სურათს გვაძლევს:



სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციათა სიაში მოხვდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან:

- ინფორმაცია სამინიტროს თანამშრომელთა (გარდა თანამდებობის პირებისა) ვინაობისა და ტელეფონის ნომრების შესახებ;
- ინფორმაცია სუიციდის შესახებ;

სამინისტრომ არ გასცა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებათა დირექტორებისა და სამედიცინო ნაწილის მთავარი ექიმების სიის სახით მიწოდებასთან;
- ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

- პატიმრის გარდაცვალების შესახებ;
- სასჯელაღსრულების კონკრეტული დაწესებულების დირექტორის ბიოგრაფია;
- კონკრეტული პატიმრის წარსულში სამინისტროში მუშაობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- მინისტრის სამუშაო ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშრებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.

რაც შეეხება უპასუხოდ დატოვებულ მოთხოვნას, აღნიშნული შეეხებოდა იმ მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც პროფესიით ადვოკატები არიან.

სამინისტრომ 146 მოთხოვნიდან 96 მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა ინფორმაცია. 49 საკითხთან დაკავშირებით ვადა არ იყო დაცული. ხოლო ერთ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა დაინტერესებული პირის მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.



დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც სამინისტროში თანამშრომელთა რაოდენობას და დანიშვნა-გათავისუფლებას ეხებოდა. ასევე ინფორმაცია მსჯავრდებულთა და პირობითი მსაჯავრის მქონე პირთა საკითხებზე.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.


ინფორმაციის კატეგორია
"სხვა საჯარო ინფორმაცია"
34
თანამშრომელთა რაოდენობა/დანიშვნა/გათავისუფლება/შვებულება
23
მსჯავრდებულთა რაოდენობა
22
შრომის ანაზღაურება
14
მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურება
13
ავტოსატრანსპორტო საშუალებები
8
მსჯავრდებულთა გარდაცვალებისა და სუიციდის სტატისტიკა
8
სახელმწიფო შესყიდვები
8
მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე გათავისუფლება
5
სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები
5
სხვადასხვა სახის შემოწმება
5
ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმართა რაოდენობა და მკურნალობა
5
Facebook-გვერდის შექმნა და რეკლამირება
4
სამინისტროსათვის ქონების ჩუქებით გადაცემა
4
საპატრიარქოსა და სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმი
4

ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებული ჩანაწერი „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ელექტრონული რესურსების და ელექტრონული სერვისების დანერგვა, შენახვა და განახლება;
- რელიგიური კონფესიებისათვის ქონების გადაცემა და მომსახურების გაწევა;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- სტატისტიკური ინფორმაცია მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების შესახებ;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ელექტრონული ფორმით გაცემა;
- მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები;
- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საკითხები - გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- მინისტრის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია;
- მინისტრისა და მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- სტაჟირება და პრაქტიკა;
- საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები;
- ორგანოგრამის შესაბამისობა რეალობასთან;
- კვება;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მშენებლობა;
- ერთობლივი კომისია;
- სტრუქტურული ქვედანაყოფების საკონტაქტო ინფორმაცია;
- სასჯელის სახე;
- პენიტენციალური სისტემის მაღაზიის პროდუქტებით მომარაგება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის 5 შემთხვევა დაფიქსირდა.



საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით ყველაზე მეტი მოთხოვნა შევიდა. კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით აღნიშნულ საკითხზე სამინისტროში 1039 მოთხოვნა იქნა წარდგენილი.

სამინისტროს მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის მიმართულებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში მაღალია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე განცხადების შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადაგზავნის შემთხვევები (317 შემთხვევა). ასევე, განცხადების ადრესატებისთვის ე.წ. შუალედური პასუხების გაგზავნის ფაქტები.

ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ:



მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შესული 1039 მოთხოვნიდან, აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში, კერძოდ 1032 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გაიცა პასუხი, ხოლო დარჩენილ 7 შემთხვევაში ვადა არ იყო დაცული.



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია, ძირთადად დაკავშირებული იყო სამინისტროში პრემიის გაცემასთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო გასცემდა ინფორმაციას ჯამური სახით და რიგ შემთხვევებში მიუთითებდა მოთხოვნილი ინფორმაციის ვებ-გვერდზე არსებობის შესახებ.

ინფორმაცია რომელიც არ იქნა გაცემული, მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- აუდიო-ვიდეო ჩანაწერები;
- მინისტრის ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია;
- ნოტარიუსის სამინისტროში ვიზიტი;
- გაცემული პრემია სახელისა და გვარის მითითებით;
- აუდიტის შემოწმების შედეგების საფუძველზე დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები;
- ფოთის საზღვაო ნავსადგურთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების ასლი;

დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა შრომით სამართლებრივ საკითხებს. ხოლო, დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მათ შორის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ელექტრონული რესურსების და ელექტრონული სერვისების დანერგვა, შენახვა განახლება;
- კომისიები და სამუშაო ჯგუფები;
- სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები;
- კერძო სამართლის იურიდიული პირები;
- სახელმწიფო საიდუმლოება;
- სხვადასხვა სახის შემოწმებები;
- ბიუჯეტი და ფინანსები;
- მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- გადასახადები;
- ექსპორტ-იმპორტი;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- რეგულაციები;
- სამართლებრივი აქტები;
- საქართველოს რკინიგზა;
- თავისუფალი ვაჭრობა;
- ტურიზმი;
- ეკომიგრანტები;
- მედიასთან ურთიერთობის სტანდარტი;
- სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ები;

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში მაღალია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული რესურსებით გამოთხოვის შემთხვევები. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში ელექტრონული ფორმით სამინისტროში 137 მოთხოვნა შევიდა. ამათგან 116 შემთხვევაში ვებ-გვერდის გამოყენებით, ხოლო 21 შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის საშუალებით.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში, კერძოდ 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 162 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღნიშნული 162 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში სამინისტროში წარდგენილი განცხადებები სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში იქნა გადაგზავნილი, ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, ინფორმაციის გაცემის მიმართულებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო შემდეგ სურათს იძლევა:



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 162 მოთხოვნიდან 161 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი, ხოლო, 1 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა.



საანგარიშო პერიოდში დაინტერესებული პირების მიერ, სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლებასა და შვებულებას ეხებოდა.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“, მათ შორის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- სპორტული კლუბები;
- „10 დეკემბრის ანგარიშის“ ასლი;
- კომისიები და საბჭოები;
- მინისტრისა და მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- მინისტრის ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია;
- სამინისტროს მიერ ჩატარებული კონფერენციები, კვლევები და სემინარები;
- მედიასთან ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტები;
- რელიგიური კონფესიებისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასად გაწეული მომსახურება და გადაცემული ქონება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მართვის დროს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში სამინისტროში სულ 162 მოთხოვნა იყო წარდგენილი ინფორმაციის გაცემის მიზნით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ამათგან - 15 მოთხოვნა ელექტრონული ფორმით იქნა წარდგენილი, მათ შორის, 6 www.my.gov.ge-ის საფუძველზე, ხოლო, დარჩენილი 9 ელექტრონული ფოსტის საშუალებით.



რაც შეეხება სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციას, აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამინისტროში დასაქმებულ პირთა სია (სახელი, გვარი, თანამდებობა, თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი, პრემიის წესის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი); გენდერული ბალანსი სამინისტროს აპარატსა და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში; სამინისტროს მიერ სხვადასხვა ფედერაციებისა და გაერთიანებებისათვის გადარიცხული თანხები, დეტალური ხარჯთაღრიცხვა, ანგარიშები და სხვა.

კველვის ავტორთა აზრით, ისევე როგორც სხვა სამინისტროების შემთხვევაში, არც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან მიმართებაში არ უნდა გავიგოთ ისე, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან, სახელმწიფო საიდუმლოებასთან). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა იმის გაგება, თუ რამდენად საფუძვლიანი და დასაბუთებული იყო რიგ შემთხვევებში სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ინფორმციის მხოლოდ ნაწილობრივ გაცემა, შეუძლებელია საკითხზე სიღრმისეული მსჯელობა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დაინტერესებულ პირს უარი უთხრა ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც დაკავშირებული იყო მინისტრის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლებთან და სამეწარმეო სუბიექტის დაფუძნების შედეგად საწესდებო კაპიტალში შესატანად განსაზღვრული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლებთან.

ამავავე სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:


სხვა სტატისტიკა
0
0
0
3
ათდღიანი ვადის მოთხოვნა
ასლის მოსაკრებლის მოთხოვნა
განმარტების მოთხოვნა
განცხადების სხვა ადმ.ორგ. გადაგზავნა

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 334 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. აღნიშნული 334 მოთხოვნიდან, იმის გათვალისწინებით, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, სამინისტროს მიერ ხდებოდა წარდგენილი განცხადებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაგზავნა, ასევე, ე.წ. შუალედური პასუხების მომზადება, კვლევის მიმდინარეობის დროს ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის ავტორებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სურათს იძლევა:



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 334 მოთხოვნიდან 320 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი. ხოლო, 14 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებული პირების მიერ, საანგარიშო პერიოდში სამინისტროდან ყველაზე მეტჯერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომელიც ლიცენზიებსა და ნებართვებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ დიაგრამაში არსებულ ჩანაწერს „სხვა საჯარო ინფორმაცია“ მოცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საჩივრები და განცხადებები;
- ბირთვული უსაფრთხოების გეგმა;
- სამინისტროსათვის ქონების ჩუქებით გადაცემა;
- მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლება;
- სამართლებრივი აქტები;
- შრომის სტაჟი;
- ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება;
- ელექტრონული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი;
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა და პროაქტიული გამოქვეყნება;
- სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭება და განსაიდუმლოება;
- მინისტრის ელ. ფოსტიდან გაგზავნილი და მიღებული ინფრომაცია;
- თანამდებობის პირების მიერ როუმინგულ ზარებებზე გაწეული ხარჯები;
- საგადასახადო შეთანხმება;
- კანონპროექტები;
- სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების მშენებლობა და ექსპლოატაცია;
- სხვადასხვა სახის ხარჯები;
- ნავთობის მოპოვება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
- სასმელი წყლის ვარგისიანობა;
- წიაღისეულის მნიშვნელობის მიხედვით ჯგუფებად განსაზღვრის წესი;
- საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება.

ცალკე უნდა აღინიშნოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, საანგარიშო პერიოდში შესული 334 მოთხოვნიდან, მნიშვნელოვანია, რომ 62 საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულმა პირებმა ელქტრონული ფორმით მოითხოვეს ინფორმაცია. მათ შორის - 37 შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის, ხოლო 25 შემთხვევაში უშუალოდ ვებ-გვერდის გამოყენებით.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან ყველაზე ხშირად ელექტრონული რესურსების გამოყენებით შემდეგი ხუთი კატეგორიის ინფორმაციას ითხოვდნენ:

	ინფორმაციის კატეგორია	მოთხოვნის რაოდენობა
1.	ლიცენზიები და ნებართვები	12
2.	თანამშრომელთა დანიშვნა, გათავისუფლება და შევებულება	6
3.	ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა	6
4.	საყდრისი	6
5.	სატყეო ფონდი	4

სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ლილოს ნაგავსაყრელის მოწყობა-მშენებლობა; შპს ყაზბეგი ჰესის მიერ მდინარე ბროლისწყალზე ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა/ექსპლოატაცია; დეტალური ინფორმაცია სამინისტროს თანამშრომელთათვის პრემიის გაცემის თაობაზე; სამინისტროს სისტემაში არსებულ იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირთა შესახებ; სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომიისის სხდომის ოქმები; სამინიტროში კონკურსით წესით დანიშნულ პირთა შესახებ ინფორმაცია; ხე-ტყის მოპოვების საკითხები; ნავთობაზების, ბენზინ-გასამართი და გაზგასამართი სადგურების ტექნიკურ, ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები; კავკასიაში დაცული ტერიტორიების ხელშეწყობის მიზნით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დაფინანსებული პროგრამა; შპს „თბილსერვის ჯუფის“ მიერ ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია; ნავთობპროდუქტების გადამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სამინისტრომ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან). ამასთან, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ნაწილობრივ გაცემულ ინფორმაციათა შორის მოხვდა ისეთი საკითხებიც, რა დროსაც სამინისტრო დაინტერესებულ პირს მიუთითებდა, თუ რომელი ადამინისტრაციული ორგანოსთვის უნდა მიემართა სასურველი ინფორმაციის მისაღებად, თუმცა, თავად არ ახდენდა განცხადების კანონმდებლობით დაგენილი წესით უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნას.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც სამინისტროს მიერ არ იქნა გაცემული, აღნიშნული დაკავშირებული იყო გეოლოგიურ ანგარიშებსა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომიისის სხდომებთან.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სულ 338 მოთხოვნა იქნა წარდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ხდებოდა წარდგენილი განცხადებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაგზავნა, ასლის მოსაკრებლის მოთხოვნა (რომლის შემდეგ, რიგ შემთხვევებში ვერ ხერხდებოდა იდენტიფიცირება, განმცხადებლის მიერ მოსაკრებლის გადახდისა და მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი პასუხის მიწოდების) ინფორმაციის ის ნაწილი რაც კვლევის მიმდინარეობის დროს კვლევის ავტორებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შემდეგ სახეს იძენს:



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ 338 მოთხოვნიდან 322 მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით გასცა პასუხი, ხოლო 16 შემთხვევაში პასუხის გაცემა ვადის დარღვევით მოხდა.



როგორც კვლევამ აჩვენა, დაინტერესებულმა პირებმა, საანგარიშო პერიოდში, მთავრობის ადმინისტრაციას ყველაზე მეტჯერ მთავრობის სამართლებრივი აქტებისა და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების მასალების გადმოცემის მოთხოვნით მიმართეს.

დეტალური ინფორმაცია, თუ რა კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვა ხდებოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი:



რაც შეეხება დიაგრამაში მითითებულ „სხვა საჯარო ინფორმაციას“, იგი აერთიანებს შემდეგ საკითხებს:

- მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები;
- თანამდებობის პირთა რეზიუმეები;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებისა და ელექტრონული მოთხოვნის დანერგვა/10 დეკემბრის ანგარიში;
- საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურებები;
- ფონდები („საპარტნიორო ფონდი“, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით შექმნილი ფონდი, სხვა);
- მთავრობის ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
- მოქალაქეობა;
- შრომითი სტაჟი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი;
- კარასინი/აბაშიძის შეხვედრის ოქმები;
- ოფიციალური ვებ-გვერდის შენახვა/ფუნქციონირება;
- თამბაქოს კონტროლი;
- საყდრისი-ყაჩაღიანი;
- საქართველოს რეგიონალურ ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბება;
- ურთიერთგაგების მემორანდუმები, სადაც მთავრობის ადმინისტრაცია წარმოადგენს ხელმომწერ ორგანოს;
- 2008-2010 წლებში საქართველოსათვის გაწეული ფინანსური დახმარება;
- სხვადასხვა პროექტები (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-სუფსას მილსადენის მშენებლობა/ექსპლუატაცია, პორტების მშენებლობა, ხუდონჰესის მშენებლობა, სხვა);
- საზღვარგარეთ სტუდენტთა სწავლის დაფინანსება;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საანგარიშო პერიოდში წარდგენილი 338 მოთხოვნიდან - 67 საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულმა პირებმა ელექტრონული ფორმით მოითხოვეს ინფორმაცია.



კვლევის თანახმად, ელექტრონული რესურსის გამოყენებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან ყველაზე ხშირად შემდეგი ხუთი კატეგორიის ინფორმაციას ითხოვდნენ:

	ინფორმაციის კატეგორია	მოთხოვნის რაოდენობა
1.	სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები	31
2.	კომისიები/საბჭოები	10
3.	თანამშრომელთა დანიშვნა, განთავისუფლება, შვებულება	7
4.	შრომითი ანაზღაურება	4
5.	პროექტები/პროგრამები	4

ცალკე უნდა აღინიშნოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმიზაციის მიზნით გატარებული ღონისძიებები, საქართველოსა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს შორის გაფორმებული ხელშეკრულების გასაიდუმლოება/დასაიდუმლოების სამართლებრივი საფუძველი, მთავრობის დადგენილების ასლები, საჯარო მოხელის მიერ დაკავებული პოზიცია, სახელფასო ანაზღაურება, მიღებული პრემია/დანამატი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ნაწილობრივ გაცემული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციამ თავი აარიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში დაინტერესებული პირის

მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას თავად კანონით დადგენილი შეზღუდვები ითვალისწინებდა (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო პერსონალურ მონაცემებთან, საგადასახადო საიდუმლოებასთან), ხოლო რიგ შემთხვევაში დაფიქსირდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვალდებულების - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნის დარღვევა.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის მიერ არ იქნა გაცემული, აღნიშნული დაკავშირებული იყო ისეთ საკითხებთან, როგორიცაა კარასინი/აბაშიძის შეხვედრის ოქმები, საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილება, პრემიერ-მინისტრის ბრძანების ასლი, სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც რეგულირდება განსაკუთრებულ სახელმწიფო, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებად წიაღისეულის განსაზღვრის წესი და ნუსხა და სხვა საკითხები.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ასევე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია:



საქართველოს უზენაესი სასამართლო

კვლევის მიმდინარეობისას საია-მ საჯარო ინფორამციის გაცემის მოთხოვნით ასევე მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. როგორც ყველა სხვა საჯარო დაწესებულების შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხებოდა - 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 29 აგვისტოს ჩათვლის, საქართველოს უზენაესს სასამართლოში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, ელექტრონული და ბეჭდური სახით წარმოდგენილი ყველა განცხადებისა და ამავე განცხადების პასუხად გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლების მოწოდებას.

საია-ს განცხადების პასუხად, უზენაესი სასამართლოს მიერ, ნაცვლად მოთხოვნილი ინფორმაციისა, მოწოდებული იქნა ზოგადი ხასიათის სტატისტიკა და ერთგვარი განმარტება, რომ ვინაიდან მოთხოვნილი მასალების მოძიებისათვის საჭირო იყო განცხადებების სისტემატიზაცია და დამუშავება (პერსონალური მონაცემების დაფარვა), რაც თავის მხრივ დაკავშირებული იყო საკმაოდ დიდ დროსა და ადამიანურ რესურსთან, სასამართლო მოკლებული იყო ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საია-მ დამატებითი განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, სადაც მიუთითებდა ინფორმაციის შეზღუდვის ფაქტორებზე (სახელმწიფო, კომერციული, პირადი საიდუმლოება), რომელთაგანაც არც ერთი არ მოიცავდა სასამართლოს მიერ დასახელებულ მიზეზებს (დიდი დრო/ადამიანური რესურსების არ არსებობა) და მოითხოვა კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას - მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა.

საია-ს განცადების პასუხად უზენაესი სასამართლოს კორესპოდენციის თანახმად, გვეცნობა, რომ მიმდინარეობდა მოთხოვნილი მასალების სისტემატიზაცია და დამუშავება (პერსონალური მონაცემების დაფარვა), რომლის დასრულების თაობაზეც დაუყოვნებლივ გვეცნობებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე, საქართველოს უზენაესსი სასამართლოს მიერ არ განხორციელებულა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის საია-სთვის გადმოცემა.

რაც შეეხება ზოგადი ხასიათის სტატისტიკას, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული კორესპოდენციიდან ირკვევა:

- 2013 წლის განმავლობაში უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 338 განცხადება შევიდა, აქედან დაკმაყოფილდა 376 მოთხოვნა, ხოლო არ დაკმაყოფილდა 12 (მათ შორის 11 მოთხოვნა ეხებოდა ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებდა, ხოლო ერთ შემთხვევაში მოთხოვნა ეხებოდა ინფორმაციას, რომელიც არ განეკუთვნებოდა სასამართლოს კომპეტენციას).
- 2014 წლის პირველი იანვრიდან 29 აგვისტოს ჩათვლით უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 266 განცხადება შევიდა. აღნიშნულ განცხადებათაგან 251 მოთხოვნა დაკმაყოფილდა, აქედან ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა 16, არ დაკმაყოფილდა 15. არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა და არ შესულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.

დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე დასკვნის სახით შესაძლებელია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა:

- კვლევის დროს შესწავლი ადმინისტრაციული ორგანოები უმრავლეს შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სცემენ პასუხს საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით წარდგენილ განცხადებებს. ამასთან ვადის დაცვით პასუხის გაცემა უპირობოდ არ ნიშნავს, რომ იგი პირდაპირპროპორციულია ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემასთან;
- 17 ადმინისტრაციული ორგანოს მაგალითზე მაღალია სრულყოფილი სახით საჯარო ინფორმაციის გაცემის ფაქტები, რაც ცალსახად, დადებითად უნდა შეფასდეს;
- ინფორმაციის ნაწილობრივ გაცემა ან კიდევ გაცემაზე უარის თქმა, ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი აარიდა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას. რიგ შემთხვევებში მსგავს გადაწყვეტილებებს კანონისმიერი საფუძველი აქვს (მაგ. ინფორმაცია, რომელიც დაკვიშრებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან, ან პერსონალურ მონაცემებთან);
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების საერთო სტატისტიკის გათვალისწინებით დაბალია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შემთხვევები. ამასთან, ამ ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რაოდენობის ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო დრო;
- შესწავლილი 17 ადმინისტრაციული ორგანოს მაგალითზე შესაძლებელია იმ ინფორმაციათა კატეგორიზაცია, რომელთა დამატებით პროაქტიულად გამოქვეყნებამ ასევე უნდა გაამარტივოს დაინტერესებული პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოპოვება;
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით ნათელი გახდა, რომ განსაკუთრებით მაღალია ინფორმაცის მოთხოვნა ისეთი სამინისტროებიდან, როგორიცაა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მთლიანობაში კვლევის შედეგების გათვალისწიებით რეკომენდაციების სახით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ:

- ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დამატებით კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია განათავსონ პროაქტიულად საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე. აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობა, მაღალი ალბათობით, ერთის მხრივ, შეამცირებს ბეჭდური სახით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საჭიროებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვნად გაზრდის საჯარო დაწესებებულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს;
- იმ შემთხვევებში როდესაც დაინტერესებული პირი ითხოვს ისეთ ინფორმაციას, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია პროაქტიულად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ინფორმაციის გაცემის პარალელურად ასევე მიუთითოს მოთხოვნილი ინფორმაციის ვებ-გვერდზე ან სხვა ოფიციალურ ელექტრონულ რესურსზე არსებობის შესახებ. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მსგავსმა მიდგომამ არ უნდა შეზღუდოს პირის უფლება თავად აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა;

ვიმედოვნებთ, რომ კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები, სამომავლოდ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოში.